ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 41

სოფლის მეურნეობა

მიზანი

წინამდებარე სტანდარტის მიზანია განსაზღვროს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის წესები, ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და მასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები.

მოქმედების სფერო

1. **წინამდებარე სტანდარტი გამოყენებულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი მუხლების აღრიცხვისათვის:**

   ა) ბიოლოგიური აქტივები, ნაყოფის მომცემი კულტურების გარდა;

   ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქცია ნაყოფის მიღების მომენტში; და

   გ) 34-ე და 35-ე პუნქტებში განხილული სახელმწიფო გრანტები.

2. წინამდებარე სტანდარტი არ გამოიყენება:

   ა) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული მიწის მიმართ (იხ. ბასს 16 - *„ძირითადი საშუალებები“*);

   ბ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ნაყოფის მომცემი კულტურების მიმართ (იხ. ბასს 16). თუმცა, ეს სტანდარტი გამოიყენება ნაყოფის მომცემი კულტურების ნაყოფთან მიმართებით;

   გ) ნაყოფის მომცემ კულტურებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტების მიმართ (იხ. ბასს 20 – *„სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“)* ;

   დ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივების მიმართ (იხ. ბასს 38 - *„არამატერიალური აქტივები“*).

   ე) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული მიწის იჯარიდან წარმოშობილი აქტივების გამოყენების უფლებების მიმართ *(იხ. ფასს 16 – „იჯარა“*).

3. წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიმართ, რომელიც წარმოადგენს საწარმოს ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებულ პროდუქციას, ნაყოფის მიღების მომენტისათვის. შემდგომში ამგვარი პროდუქციის აღრიცხვისთვის გამოიყენება ბასს 2 - *„მარაგები“*, ან სხვა შესაბამისი სტანდარტი. შესაბამისად, წინამდებარე სტანდარტი არ ეხება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებას მისი ნაყოფად მიღების შემდეგ; მაგალითად, ყურძნის გადამუშავება ღვინოდ ღვინის მწარმოებლის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ამგვარი გადამუშავება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ლოგიკური და ბუნებრივი გაგრძელება იყოს და მიმდინარე მოვლენებს შესაძლოა მსგავსება ჰქონდეს ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციასთან, წინამდებარე სტანდარტით განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა არ მოიცავს ამგვარ გადამუშავებას.

4. შემდეგ ცხრილში მოცემულია ბიოლოგიური აქტივების, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნაყოფის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების მაგალითები:

ბიოლოგიური აქტივები	სოფლის მეურნეობის პროდუქცია	ნაყოფის მიღების შემდეგ მისი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები
ცხვარი	მატყლი	ძაფი, ხალიჩა
ხეები ტყის პლანტაციაში	მორები	ხის მასალა
მეწველი მსხვილფეხა	რძე	ყველი

რქოსანი პირუტყვი		
ღორები	გატყავებული და გამოშიგნული ღორი	სოსისი, დამუშავებული ლორი
ბამბის ბუჩქები	ბამბა	ძაფი, ტანსაცმელი
შაქრის ლერწამი	ლერწმის ნაყოფი	შაქარი
მცენარე თამბაქო	მოკრეფილი ფოთლები	დამუშავებული (გამომშრალი) თამბაქო
ჩაის ბუჩქები	მოკრეფილი ფოთლები	ჩაი
ვაზი	ყურძენი	ღვინო
ხეხილი	მოკრეფილი ხილი	გადამუშავებული ხილი
ზეთის პალმა	მოკრეფილი ნაყოფი	პალმის ზეთი
კაუჩუკის ხეები	მოკრეფილი ლატექსი (რძეწვენი)	კაუჩუკის პროდუქტები
ზოგიერთი მცენარე, მაგალითად, ჩაის ბუჩქები, ვაზი, ზეთის პალმები და კაუჩუკის ხეები, როგორც წესი, აკმაყოფილებს ნაყოფის მომცემი კულტურის განმარტებას და ბასს 16-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება. თუმცა, ნაყოფის მომცემი კულტურების ნაყოფზე, როგორიცაა ჩაის ფოთლები, ყურძენი, ზეთის პალმის ნაყოფი და ლატექსი ბასს 41 ვრცელდება.		

განმარტებები

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული განმარტებები

5. წინამდებარე სტანდარტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა არის საწარმოს მიერ ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციისა და ნაყოფის მიღების მართვა გაყიდვის მიზნით, ან სოფლის მეურნეობის პროდუქციად ან დამატებით ბიოლოგიურ აქტივებად გარდაქმნის მიზნით.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია არის საწარმოს ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული პროდუქცია.

ნაყოფის მომცემი კულტურა არის ცოცხალი მცენარე:

ა) რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად, ან მისაღებად (მისაწოდებლად);

ბ) მოსალოდნელია, რომ ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში მოიწევს ნაყოფს; და

გ) მცირეა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით მისი გაყიდვის ალბათობა, ნარჩენების სახით თანმდევი გაყიდვების გარდა.

ბიოლოგიური აქტივი არის ცხოველი ან მცენარე.

ბიოლოგიური ტრანსფორმაცია მოიცავს ზრდას, დეგენერაციას, წარმოებას და გამრავლებას, რაც იწვევს ბიოლოგიური აქტივის ხარისხობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებებს.

ბიოლოგიური აქტივების ჯგუფი არის მსგავსი ცხოველების ან მცენარეების ერთობლიობა.

გაყიდვის დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია აქტივის გადაცემასთან, ფინანსური დანახარჯებისა და მოგებიდან გადასახადის ხარჯის გამოკლებით.

ნაყოფის მიღება არის ბიოლოგიური აქტივიდან პროდუქციის მოცილება ან ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტა.

5ა. ქვემოთ ჩამოთვლილი მცენარეები არ მიეკუთვნება ნაყოფის მომცემ კულტურებს:

ა) მცენარეები, რომლებიც იმისთვისაა გაშენებული, რომ გამოიყენონ, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქცია (მაგალითად, ხის მასალად გამოსაყენებლად გაშენებული ხეები);

ბ) მცენარეები, რომლებიც გაშენებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად, თუ მცირე არ არის იმის ალბათობა, რომ საწარმო მოსავალსაც მიიღებს და მცენარესაც გაყიდის, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციას (მაგალითად, ხეები, რომლებიც

 © IFRS Foundation

გაშენებულია როგორც ნაყოფის მისაღებად, ასევე ხის მასალად გამოყენების მიზნით, რაც არ გულისხმობს ნარჩენების სახით თანმდევ გაყიდვებს);

გ) ერთწლიანი კულტურები (მაგალითად, ხორბალი და სიმინდი).

5ბ. როდესაც ნაყოფის მომცემი კულტურები აღარ გამოიყენება ნაყოფის (პროდუქტის) მისაღებად, შეიძლება ისინი მოჭრან და გაყიდონ, როგორც ნარჩენები, მაგალითად, შეშად გამოყენების მიზნით. ნარჩენების სახით ამგვარი თანმდევი გაყიდვები ხელს არ უშლის იმას, რომ მცენარემ დააკმაყოფილოს ნაყოფის მომცემი კულტურის განმარტება.

5გ. ნაყოფის მომცემი კულტურიდან მიღებული ნაყოფი ბიოლოგიური აქტივია.

6. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა საქმიანობას, მაგალითად, პირუტყვის მოშენება, ტყის გაშენება, ერთწლიანი ან მრავალწლიანი კულტურის მოყვანა, ხეხილის ბაღებისა და პლანტაციების გაშენება, ყვავილების მოშენება, აკვაკულტურა (მათ შორის თევზის მოშენება). ამ სხვადასხვა საქმიანობას გარკვეული საერთო მახასიათებლები აქვთ:

ა) *ცვლილების უნარი.* ცოცხალ ცხოველებსა და მცენარეებს აქვთ ბიოლოგიური ტრანსფორმაციის უნარი;

ბ) *ცვლილების მართვა.* მართვა ხელს უწყობს ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას იმ პირობების გაუმჯობესების, ან მინიმუმ სტაბილიზაციის მეშვეობით, რომელიც აუცილებელია პროცესის მოხდენისათვის (მაგალითად, კვების, ტენიანობის, ტემპერატურის, ნაყოფიერების ან სინათლის). ამგვარი მართვა სოფლის მეურნეობის საქმიანობას განასხვავებს სხვა საქმიანობისაგან. მაგალითად, პროდუქციის მიღება უმართვადი წყაროებიდან (როგორიცაა ოკეანეში თევზჭერა და ტყის გაჩეხვა) არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა; და

გ) *ცვლილების შეფასება.* ბიოლოგიური ტრანსფორმაციით ან ნაყოფის მიღებით გამოწვეული ხარისხობრივი (მაგალითად, გენეტიკური თვისების, სიხშირის, სიმწიფის, ცხიმიანობის, პროტეინის შემცველობის და ქსოვილის სიმყარის) ან რაოდენობრივი (მაგალითად, შთამომავლობა, წონა, ზომა, ქსოვილის სიგრძე ან დიამეტრი, ასევე ყვავილთა რაოდენობა) ცვლილება შეფასებადი და კონტროლირებადია რუტინული მმართველობითი ფუნქციით.

7. ბიოლოგიური ტრანსფორმაციით მიიღება შემდეგი ტიპის შედეგები:

ა) აქტივის ცვლილება, რაც განპირობებულია (1) ზრდით (ცხოველის ან მცენარის რაოდენობის ან ხარისხის ზრდა); (2) დეგენერაციით (ცხოველის ან მცენარის რაოდენობის შემცირება); ან (3) გამრავლებით (ცოცხალი ცხოველის ან მცენარის ნამატის წარმოქმნა); ან

ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, მაგალითად: ჩაის ფოთოლი, მატყლი, რძე და სხვ.

ზოგადი განმარტებები

8. **წინამდებარე სტანდარტში გამოყენებულ ტერმინებს მინიჭებული აქვს შემდეგი მნიშვნელობა:**

საბალანსო ღირებულება **არის თანხა, რომლითაც აქტივი აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.**

სამართლიანი ღირებულება **არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. (იხ. ფასს 13 – „*სამართლიანი ღირებულების შეფასება*“)**

სახელმწიფო გრანტები, **როგორც ეს ტერმინი განმარტებულია ბასს 20-ში.**

9. [გაუქმებულია]

აღიარება და შეფასება

10. **საწარმომ ბიოლოგიური აქტივი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა აღიაროს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც:**

ა) საწარმო აკონტროლებს ამ აქტივს წარსული მოვლენების შედეგად;

ბ) მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა; და

გ) შესაძლებელია აქტივის სამართლიანი ღირებულების ან თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

11. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან მიმართებაში კონტროლი შესაძლოა დასაბუთებული იყოს, მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის იურიდიული მფლობელობით და დადაღვით ან სხვაგვარი მარკირებით პირუტყვის შეძენისას, დაბადებისას ან ძუძუდან ასხლეტისას. მომავალი სარგებელი, როგორც წესი, ფასდება მნიშვნელოვანი ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით.

12. **ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეფასდეს გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით, გარდა 30-ე პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება.**

13. **ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა შეფასდეს ნაყოფის მიღების მომენტისათვის არსებული გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით. ამგვარი შეფასება არის ღირებულება იმ თარიღამდე, რომლის შემდეგაც გამოიყენება ბასს 2 – *„მარაგები“*, ან სხვა შესაფერისი სტანდარტი.**

14. [გაუქმებულია]

15. ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამართლიანი ღირებულების შეფასება შესაძლოა გაადვილდეს ბიოლოგიური აქტივების ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაჯგუფებით მნიშვნელოვანი მახასიათებლების მიხედვით, მაგალითად ასაკის ან ხარისხის მიხედვით. საწარმო პროდუქციის მახასიათებლებს აირჩევს იმ მახასიათებლებიდან, რომლებიც შესაბამის ბაზარზე გამოიყენება ფასის განსაზღვრის საფუძვლად.

16. საწარმოები ხშირად ხელშეკრულებებს დებენ თავიანთი ბიოლოგიური აქტივების ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვის შესახებ მომავალი თარიღისათვის. ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასები ყოველთვის არ არის გამოსადეგი სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისათვის, რადგან სამართლიანი ღირებულება ასახავს მიმდინარე ბაზრის პირობებს, სადაც ბაზრის მონაწილე მყიდველი და გამყიდველი დებს გარიგებას. მაშასადამე, ხელშეკრულების არსებობის გამო, ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამართლიანი ღირებულება არ კორექტირდება. ზოგიერთ შემთხვევაში, ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვის ხელშეკრულება შესაძლოა წამგებიანი იყოს, როგორც ეს განმარტებულია ბასს 37-ში - *„ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“*. წაგებიან ხელშეკრულებებს არეგულირებს ბასს 37.

17-

21. [გაუქმებულია]

22. საწარმო აქტივების დასაფინანსებლად ან ბიოლოგიური აქტივის აღსადგენად, ნაყოფის მიღების შემდეგ, არ ამატებს დახარჯულ ფულად სახსრებს (მაგალითად, ხეების დარგვის დანახარჯები ტყის პლანტაციაში ხე-ტყის ჭრის შემდეგ).

23. [გაუქმებულია]

24. თვითღირებულება შესაძლოა ზოგჯერ უახლოვდებოდეს სამართლიან ღირებულებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც:

    ა) თავდაპირველი ხარჯის გაწევიდან (მაგალითად, უშუალოდ საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების წინ დარგული ნერგები, ან ახლად შეძენილი შინაური პირუტყვი) მცირეოდენ ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას ჰქონდა ადგილი; ან

    ბ) მოსალოდნელია, რომ ბიოლოგიური ტრანსფორმაციის გავლენა ფასზე არ იქნება მნიშვნელოვანი (მაგალითად, საწყისი ზრდა ფიჭვის პლანტაციის 30 წლიან საწარმოო ციკლში).

25. ხშირად ბიოლოგიური აქტივები ფიზიკურად მიმაგრებულია მიწაზე (მაგალითად, ხეები ტყის მასივებში). მიწაზე მიმაგრებული ბიოლოგიური აქტივებისათვის შესაძლოა არ არსებობდეს ცალკე ბაზარი, მაგრამ შესაძლოა არსებობდეს აქტიური ბაზარი კომბინირებული (ურთიერთდაკავშირებული) აქტივებისათვის, ე.ი. ბიოლოგიური აქტივების, დაუმუშავებელი მიწისა და გაუმჯობესებული მიწის, როგორც ერთი პაკეტისათვის. ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების დასადგენად საწარმოს შეუძლია გამოიყენოს ინფორმაცია კომბინირებული აქტივების შესახებ. მაგალითად, ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების მისაღებად,

 © IFRS Foundation

დაუმუშავებელი მიწის ან გაუმჯობესებული მიწის სამართლიანი ღირებულება შეიძლება გამოაკლდეს კომბინირებული აქტივების სამართლიან ღირებულებას.

შემოსულობები და ზარალი

26. ბიოლოგიური აქტივის გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისა და ასევე გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანრი ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული
შემოსულობა ან ზარალი ჩართულ უნდა იქნეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

27. ზარალი შესაძლოა წარმოიშვას ბიოლოგიური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას, რადგან გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯები არ გაითვალისწინება გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას. შემოსულობა შესაძლოა წარმოიშვას ბიოლოგიური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას, მაგალითად, როდესაც ხბო იბადება.

28. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველად აღიარების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ჩართულ უნდა იქნეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

29. შემოსულობა ან ზარალი შესაძლოა წარმოიშვას სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავდაპირველი აღიარებისას, ნაყოფის მიღების შედეგად.

სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასების შეუძლებლობა

30. არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლებელია ბიოლოგიური აქტივის სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება. თუმცა, ეს ვარაუდი შესაძლოა გაბათილდეს მხოლოდ ისეთი ბიოლოგიური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას, რომლისთვისაც არ არსებობს კოტირებული საბაზრო ფასები და სამართლიანი ღირებულების ალტერნატიული შეფასებები უდავოდ არასაიმედოა. ასეთ შემთხვევაში, ამგვარი ბიოლოგიური აქტივი უნდა შეფასდეს თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. როდესაც შესაძლებელი გახდება ამგვარი ბიოლოგიური აქტივის სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება, საწარმომ იგი უნდა შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით. როდესაც გრძელვადიანი ბიოლოგიური აქტივი დააკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმს (ან ჩართულია გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული) ფასს 5-ის - *„გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“* - შესაბამისად, იგულისხმება, რომ სამართლიანი ღირებულება შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

31. 30-ე პუნქტში მოყვანილი დაშვება შესაძლოა გაბათილდეს მხოლოდ თავდაპირველი აღიარებისას. საწარმომ, რომელმაც ბიოლოგიური აქტივი შეაფასა სამართლიანი ღირებულებით, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით, ბიოლოგიური აქტივის შეფასებას მის გასვლამდე განაგრძობს სამართლიანი ღირებულებით, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით.

32. ყველა შემთხვევაში, საწარმო სოფლის მეურნეობის პროდუქციას ნაყოფის მიღებისას აფასებს სამართლიანი ღირებულებით, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით. წინამდებარე სტანდარტი ასახავს იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ყოველთვის შესაძლებელია სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება, მისი მოსავლად აღების მომენტისათვის.

33. თვითღირებულების, აკუმულირებული ცვეთისა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას საწარმო ითვალისწინებს ბასს 2-ს - *„მარაგები“*, ბასს 16-ს - *„ძირითადი საშუალებები“* და ბასს 36-ს - *„აქტივების გაუფასურება“*.

სახელმწიფო გრანტები

34. უპირობო სახელმწიფო გრანტი, რომელიც დაკავშირებულია გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ ბიოლოგიურ აქტივ-

თან, შემოსავლად მხოლოდ და მხოლოდ მაშინ უნდა აღიარდეს, როდესაც სახელმწიფო გრანტი ხდება
მიღებადი.

35. თუ სახელმწიფო გრანტი, რომელიც დაკავშირებულია გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ ბიოლოგიურ აქტივთან, შეიცავს პირობას, მათ შორის ისეთს, როდესაც სახელმწიფო გრანტით საწარმოს მოეთხოვება, რომ არ განახორციელოს გარკვეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, საწარმომ სახელმწიფო გრანტი უნდა აღიაროს შემოსავლად მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს.

36. სახელმწიფო გრანტების ვადები და პირობები ცვალებადია. მაგალითად, სახელმწიფო გრანტით შეესაძლოა საწარმოს მოეთხოვებოდეს ხუთი წლით მეურნეობის წარმოება გარკვეულ ტერიტორიაზე და მოეთხოვებოდეს სახელმწიფო გრანტის დაბრუნება, თუ სამეურნეო საქმიანობას განახორციელებს ხუთ წელზე ნაკლებ ხანს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო გრანტი არ აღიარდება შემოსავლად მანამ, სანამ ხუთი წელი არ ამოიწურება. თუმცა, თუ სახელმწიფო გრანტით ნებადართულია სახელმწიფო გრანტის შენარჩუნება დროის გასვლის მიხედვით, საწარმო სახელმწიფო გრანტს შემოსავლად აღიარებს გასული ვადის პროპორციულად.

37. თუ სახელმწიფო გრანტი დაკავშირებულია ბიოლოგიურ აქტივთან, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთისა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოქვითვით (იხ. პუნქტი 30), გამოიყენება ბასს 20 „სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“.

38. წინამდებარე სტანდარტით მოითხოვება ბასს 20-საგან განსხვავებული რეჟიმი, თუ სახელმწიფო გრანტი დაკავშირებულია გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ ბიოლოგიურ აქტივთან, ან თუ სახელმწიფო გრანტით საწარმოს მოეთხოვება, მონაწილეობა არ მიიღოს გარკვეულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ბასს 20 გამოიყენება მხოლოდ ისეთი სახელმწიფო გრანტების მიმართ, რომელიც დაკავშირებულია ბიოლოგიურ აქტივთან, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთისა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოქვითვით.

განმარტებითი შენიშვნები

39. [გაუქმებულია]

საყოველთაო

40. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს მიმდინარე პერიოდში ბიოლოგიური აქტივების და სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავდაპირველი აღიარებიდან და ბიოლოგიური აქტივის გაყიდვისათვის საჭირო, შეფასებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად წარმოშობილი აგრეგირებული შემოსულობა ან ზარალი.

41. საწარმომ უნდა წარმოადგინოს ბიოლოგიური აქტივის თითოეული ჯგუფის აღწერილობა.

42. 41-ე პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილ იყოს ტექსტური ან რაოდენობრივი აღწერილობის სახით.

43. საწარმოს რეკომენდაცია ეძლევა, წარმოადგინოს ბიოლოგიური აქტივების თითოეული ჯგუფის რაოდენობრივი აღწერილობა ისე, რომ ერთმანეთისგან გამიჯნული იყოს მოხმარებისათვის განკუთვნილი და ნაყოფის მომცემი ბიოლოგიური აქტივები, ან ზრდადასრულებული და ზრდადაუსრულებელი ბიოლოგიური აქტივები, გარემოებებისდა მიხედვით. მაგალითად, საწარმოს შეუძლია ჯგუფების მიხედვით წარმოადგინოს მოხმარებისათვის განკუთვნილი და ნაყოფის მომცემი ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულებები. საწარმოს უფლება აქვს ეს საბალანსო ღირებულებები, თავის მხრივ, დაანაწევროს ზრდადასრულებული და ზრდადაუსრულებელი აქტივების მიხედვით. ამგვარი გამიჯვნა იძლევა ისეთ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა სასარგებლო იყოს მომავალი ფულადი ნაკადების გარკვეული დროის შერჩევის შეფასებისას. საწარმომ უნდა ასახოს ნებისმიერი გამიჯვნის საფუძველი.

44. მოხმარებისათვის განკუთვნილი ბიოლოგიური აქტივები ისეთი აქტივებია, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით ნაყოფად უნდა იქნეს მიღებული და/ან გაიყიდოს როგორც ბიოლოგი-

 © IFRS Foundation

ური აქტივი. მოხმარებისათვის განკუთვნილი ბიოლოგიური აქტივის მაგალითებია შინაური პირუტყვი, რომლის დანიშნულებაა ხორცის წარმოება, გასაყიდად განკუთვნილი შინაური პირუტყვი, თევზი მეურნეობაში, მარცვლეული კულტურები, როგორიცაა სიმინდი და ხორბალი, ნაყოფის მომცემი კულტურების ნაყოფი და ასევე ხის მასალის მისაღებად გაშენებული ხეები. ნაყოფის მომცემ ბიოლოგიურ აქტივებს განეკუთვნება ყველა ბიოლოგიური აქტივი, გარდა მოხმარებისათვის განკუთვნილი ბიოლოგიური აქტივებისა, მაგალითად: ცოცხალი პირუტყვი, რომლიდანაც მიიღება რძე და ხეხილი, რომლიდანაც ხილი მიიღება. ნაყოფის მომცემი ბიოლოგიური აქტივები სოფლის მეურნეობის პროდუქცია კი არ არის, არამედ სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად არის განკუთვნილი.

45. ბიოლოგიური აქტივები შესაძლოა კლასიფიცირდეს ზრდადასრულებულ და ზრდადაუსრულებელ ბიოლოგიურ აქტივებად. ზრდადასრულებული ბიოლოგიური აქტივი ისეთი აქტივია, რომელსაც აქვს მოსავლისათვის დამახასიათებელი ნიშნები (მოხმარებისათვის განკუთვნილ ბიოლოგიურ აქტივებთან მიმართებით), ან შეუძლია რეგულარულად მოგვცეს მოსავალი (ნაყოფის მომცემ ბიოლოგიურ აქტივებთან მიმართებით).

46. თუ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ინფორმაციაში არ არის გამჟღავნებული, საწარმომ უნდა აღწეროს:

ა) საქმიანობის ხასიათი ბიოლოგიური აქტივების თითოეულ ჯგუფთან მიმართებით; და

ბ) ფიზიკური რაოდენობის არაფინანსური მაჩვენებლები ან შეფასებები:

(i) საწარმოს ბიოლოგიური აქტივების თითოეული ჯგუფი პერიოდის ბოლოს; და

(ii) პერიოდის განმავლობაში გამოშვებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

47-

48. [გაუქმებულია]

49. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს:

ა) იმ ბიოლოგიური აქტივების არსებობა და საბალანსო ღირებულება, რომელზეც ქონებრივი უფლება შეზღუდულია და ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულება;

ბ) ბიოლოგიური აქტივების შეძენის ან განვითარების პოტენციური ვალდებულებების თანხა; და

გ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია.

50. საწარმომ უნდა წარმოადგინოს ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულების ცვლილებების შეჯერება, რომელიც დაფიქსირდა მიმდინარე პერიოდის დასაწყისიდან დასრულებამდე პერიოდში. შეჯერება უნდა მოიცავდეს:

ა) გაყიდვისთვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ცვლილებით მიღებულ შემოსულობას ან ზარალს;

ბ) შესყიდვის შედეგად გამოწვეულ ზრდას;

გ) შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია გაყიდვებთან, ან ბიოლოგიურ აქტივებთან, რომლებიც ფასს 5-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული (ან ჩართულია გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული);

დ) შემოსავლად განხილვის შედეგად მიღებულ შემცირებას;

ე) საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებულ ზრდას;

ვ) ნეტო საკურსო სხვაობებს, რომლებიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების მონაცემების გადაყვანის შედეგად სხვა წარსადგენ ვალუტაში და ასევე უცხოური ქვედანაყოფის მონაცემების გადაყვანის შედეგად ანგარიშვალდებული საწარმოს წარსადგენ ვალუტაში;

ზ) სხვა ცვლილებებს.

51. გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება შესაძლოა შეიცვალოს როგორც ფიზიკური ცვლილების, ასევე ბაზარში ფასის ცვლილებების შედეგად. ფიზიკური ცვლილებების და ფასში მომხდარი ცვლილებების ცალკე ასახვა სასარგებლოა მიმდინარე პერიოდში საწარმოს საქმიანობის შედეგებისა და სამომავლო პერსპექტივების შესაფასებლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წარმოების ციკლი ერთ წელს აღემატება. ასეთ შემთხვევაში, სასურველია საწარმომ ჯგუფების მიხედვით ან სხვაგვარად, ასახოს გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილება, რომელიც ჩართულია ფიზიკური ცვლილებებისა და ფასის ცვლილების შედეგად მიღებულ ნეტო მოგებაში ან ზარალში. ამგვარი ინფორმაცია, როგორც წესი, ნაკლებად სასარგებლოა მაშინ, როდესაც წარმოების ციკლი ერთ წელზე ნაკლებია (მაგალითად, წიწილების გამოზრდა ან მარცვლეული კულტურის მოყვანა).

52. ბიოლოგიური ტრანსფორმაციის შედეგად ვიღებთ სხვადასხვა სახის ფიზიკურ ცვლილებას – ზრდა, დაკნინება, პროდუქციის წარმოება და გამრავლება. შესაძლოა თითოეული მათგანს თვალყური ვადევნოთ და შევაფასოთ. ამ ფიზიკური ცვლილებების თითოეულ ტიპი პირდაპირ უკავშირდება მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ნაყოფის მიღების შედეგად ბიოლოგიური აქტივის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილება ასევე განეკუთვნება ფიზიკურ ცვლილებას.

53. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ხშირად უკავშირდება კლიმატს, დაავადებებს და სხვა ბუნებრივ რისკებს. თუ ადგილი აქვს ისეთ მოვლენას, რომელიც განაპირობებს შემოსავლების ან ხარჯების არსებით მუხლს, მაშინ ასეთი მუხლის ბუნება და ოდენობა უნდა გამჟღავნდეს ბასს 1-ის - „*ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*“ - შესაბამისად. ასეთი შემთხვევის მაგალითები მოიცავს საშიში დაავადების აფეთქებას, წყალდიდობას, ძლიერ გვალვას ან ყინვას და მწერების შემოსევას.

დამატებით გასამჟღავნებელი ინფორმაცია იმ ბიოლოგიური აქტივების შესახებ, რომელთა სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია

54. თუ საწარმო პერიოდის ბოლოს ბიოლოგიურ აქტივებს თვითღირებულებით აფასებს, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით (იხ. 30-ე პუნქტი), მან ამგვარი ბიოლოგიური აქტივების შესახებ უნდა გახსნას შემდეგი ინფორმაცია:

ა) ბიოლოგიური აქტივების აღწერა;

ბ) განმარტება იმის შესახებ, თუ რატომ არ არის შესაძლებელი სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება;

გ) თუ შესაძლებელია, წინასწარი შეფასებების დიაპაზონი, რომლის ფარგლებში სამართლიანი ღირებულების მოხვედრის დიდი ალბათობაა;

დ) გამოყენებული ცვეთის მეთოდი;

ე) სასარგებლო მომსახურების ვადა ან გამოყენებული ცვეთის განაკვეთეები; და

ვ) მთლიანი საბალანსო ღირებულება და აკუმულირებული ცვეთა (აგრეგირებული აკუმულირებულ გაუფასურების ზარალთან) პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს.

55. თუ, მიმდინარე პერიოდში, საწარმო ბიოლოგიურ აქტივებს თვითღირებულებით აფასებს, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით (იხ. 30-ე პუნქტი), საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ამგვარი ბიოლოგიური აქტივების გასვლის შედეგად აღიარებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, ხოლო 50-ე პუნქტით მოთხოვნილი შეჯერება უნდა შეიცავდეს ამგვარ ბიოლოგიურ აქტივებთან დაკავშირებულ თანხებს ცალ-ცალკე. ამასთან, შეჯერებაში მოცემული უნდა იყოს შემდეგი თანხები, რომლებიც ჩართულია ამგვარ ბიოლოგიურ აქტივებთან დაკავშირებულ მოგებაში ან ზარალში:

ა) გაუფასურების ზარალი;

ბ) გაუფასურების ზარალის აღდგენა; და

გ) ცვეთა.

56. თუ მიმდინარე პერიოდში ბიოლოგიური აქტივების, რომლის შეფასება ადრე თვითღირებულებით ხდებოდა ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთისა და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით, სამართლიანი ღირებულება ხდება საიმედოდ შეფასებადი, საწარმომ ამ ბიოლოგიური აქტივებისათვის უნდა გახსნას შემდეგი ინფორმაცია:

ა) ბიოლოგიური აქტივების აღწერა;

 © IFRS Foundation

ბ) **განმარტება, თუ რატომ გახდა სამართლიანი ღირებულება საიმედოდ შეფასებადი; და**

გ) **ცვლილების შედეგები.**

სახელმწიფო გრანტები

57. საწარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია იმ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან, რომელსაც მოიცავს წინამდებარე სტანდარტი:

ა) ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სახელმწიფო გრანტების ხასიათი და სიდიდე; და

ბ) შეუსრულებელი პირობები და სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებული სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები; და

გ) სახელმწიფო გრანტების მოსალოდნელი მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირება.

ძალაში შესვლის თარიღი და სტანდარტზე გადასვლა

58. წინამდებარე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი ძალაშია წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს 2003 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებულ პერიოდს. ვადამდელი გამოყენება მოწონებულია. თუ საწარმო წინამდებარე სტანდარტს გამოიყენებს 2003 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდებისთვის, მან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი.

59. წინამდებარე სტანდარტი არანაირ გარდამავალ პირობებს არ ადგენს. ამ სტანდარტის მიღება მიიჩნევა, რომ შეესაბამება ბასს 8-ს - *„საღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილება საღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“.*

60. 2008 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა - *„ფასს სტანდარტების გაუმჯობესება“* გამოიწვია მე-5, მე-6, მე-17, მე-20 და 21-ე პუნქტების შეცვლა და მე-14 პუნქტის გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ზემოაღნიშნულ ცვლილებებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

61. 2011 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 13-მა გამოიწვია მე-8, მე-15, მე-16, 25-ე და 30-ე პუნქტების შეცვლა და მე-9, 17-21-ე, 23-ე, 47-ე და 48-ე პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 13-ს.

62. 2014 წლის ივნისში გამოცემულმა დოკუმენტმა - *„სოფლის მეურნეობა: ნაყოფის მომცემი კულტურები“* (ბასს 16-ისა და ბასს 41-ის შესწორებები) გამოიწვია 1–5, მე-8, 24-ე და 44-ე პუნქტების შეცვლა და 5ა–5გ და 63-ე პუნქტების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ამ ცვლილებებს, მან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი. საწარმომ აღნიშნული ცვლილებები რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს ბასს 8-ის შესაბამისად.

63. იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს დოკუმენტს - *„სოფლის მეურნეობა: ნაყოფის მომცემი კულტურები“* (ბასს 16-ისა და ბასს 41-ის შესწორებები), მას არ ევალება ბასს 8-ის 28(ვ) პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად რაოდენობრივი ინფორმაციის გამჟღავნება მიმდინარე პერიოდის შესახებ. თუმცა, საწარმომ უნდა წარმოადგინოს ბასს 8-ის 28(ვ) პუნქტის მოთხოვნების შესაბამისი რაოდენობრივი ინფორმაცია თითოეული წინა წარდგენილი პერიოდისთვის.

64. 2016 წლის იანვარში გამოცემულმა ფასს 16-მა გამოიწვია მე-2 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 16-ს.

65. 2020 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა – *„ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება“* – 2018-2020 წლები“ – გამოიწვია 22-ე პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2022 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული პირველი წლიური საანგარიშგებო პერიოდის დაწყებისას ან ამ თარიღის შემდგომ განსაზღვრულ სამართლიანი ღირებულების შეფასებებთან მიმართებით. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ამ ცვლილებებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.